



გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს

თვეში 1,000,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6

ტელეფონი 10—34 — ფოსტის უთი, № 190.

გაწესადების ღირსი

1 გვ. 250,000 მან.

4 „ 200,000 „

საგადასახადო განცხადება

1 გვ. 2,500,000 მან.

4 „ 2,000,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

მწუხარებაში მყოფნი: დედა ანასტასია, დედა ნინა და ოლია, ძმა ვანო სინაურაძეები, სიძე სანდალა და დისწული გულსუნდა გაჩეხილაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 28 ივნისს, ექვსის თვის თავზე დანიშნული პანაშვიდი მათთვის ძვირფას

ნატაშა სინაურაძის

სულის მოსახსენებლად, პანაშვიდი დაიწყება 6 ნახ. ს. წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 428.

1—1

პირის, ივლისის 1, პარტიის მთავარ კლუბში მოწვეულია საქ. დემარტ. სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
 2. პარტიული მუშაობა.
 3. ტფილისის კომიტეტის ანგარიში.
 4. მოხსენებანი ადგილებიდან.
 5. მიმდინარე საკითხები.
 6. არჩევნები ტფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა.
- დღევანდელს ირჩევს სარევიზიო საზოგადო კრება.
- ფრაქციები, ახალგაზრდათა კავშირი და სტუდენტთა ორგანიზაცია გზავნი თითო დელეგატს საათობარო ხმით.
- კონფერენცია გაიხსნება დღის 11 საათზე.

ტფილისის კომიტეტი.

უფრო დაწესებულია და პირად პირად (გარდა სამხედრო უწყებისა),

რომელთაც ყავთ სამგზავრო თუ სახარგო ავტომობილები და მოტოციკლები, ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტიდან (ოთახი № 4) შესაფერისი ნომრები და მოწმობები თავისუფალ მიმოსვლის შესახებ,

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც რეგისტრაციაში ერთხელ უკვე გაუტარებიათ თავიანთი მანქანა და დროებითი მოწმობებიც მიუღიათ, ევალებათ უკან წარმოუდგინონ დროებითი მოწმობები და მიიღონ სათანადო ნომრები და მუდმივი მოწმობები.

რეგისტრაცია ტარდება შედეგად გარდა:

- | | |
|------------------------|------------------------------|
| 1, 2, 3, 4 კომისარიატი | — 27 ივნისიდან 5 ივლისამდე; |
| 5, 6, 7, 8 „ „ | — 6 ივნისიდან 10 ივლისამდე. |
| 9, 10, 11, 12, 13. „ | — 11 ივნისიდან 16 ივლისამდე. |

სარეგისტრაციოთ გამოცხადებული ნომრების მიღებისთანავე გადახდებთ, თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, მოწმობების და ნომრების დასაზღაურებელი ერთი მანეთი და სამოციდა-ხუთი კაპეიკი ჩერვონ.

სრულიად გამოუდგარი ავტომობილები და მოტოციკლები არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არც ნომრები გაიცემა მათზე.

მანქანათა პატრონთ, რომელთაც სარეგისტრაციოთ და მოწმობების მისაღებად დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გადახდებთ საურავი (шени) ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში შესატან თანხის 5 პროცენტის რაოდენობით.

იმ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნებიან გატარებული და უბილეთოთ და უმოწმობოთ მიმოსვლას განაგრძობენ, სრულიად ალერგობათ მიმოსვლა და პატრონიც პასუხის გებაში იქნებიან მიტეხული.

პრეზიდიუმი.
№ 379

უფრო დაწესებულია და პირად პირად (გარდა სამხედრო უწყებისა),

ს. ფაშაიშვილის სალამი

- პროგრამა:
1. უმჯობესი სიტყვა ალ. წერეთლის.
 2. წარმოდგენა.
 3. საკონსერტო განუყოფილება.
 4. დეკლამაცია

მოწვევითაა:	მოწვევითაა:
მწვევითაა:	მწვევითაა:
ს. აბაშელი,	გ. შარაშიძე,
ს. ფაშაიშვილი,	ქაშაიშვილი,
ოპოლი მუშა,	მარგარიტა გოგლიძე,
გ. ქუჩიშვილი,	თამარ ნიკოლაძე,
დ. ცვარამი,	დ. აკოფაშვილი,
დემნა შენგელია,	6. სტარჩაიკოვა,
მის. ბოკორიშვილი,	დები თარხნიშვილები,
ალ. წერეთელი და სხ.	და სხ.
დარამის პარტიზანები:	როიალთან:
ალ. იმედაშვილი,	ზ. ბახუტაშვილი-ბელ-
ტასო აბაშიძე,	სკისა,
თამარ ჭავჭავაძე,	და სხ.
6. კასრაძე და სხ.	
დასწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.	

სოფელი და კლუბი

საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ წრეებში დღეს მთავარ ყურადღებას იქცევს სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის საკითხი. უფრო მართლმად, ეს საკითხი წარმოადგენს მუშისა და გლეხის და კავშირების საკითხს.

სამოქალაქო ომის პროცესში. სამხედრო კომუნიზმის დროს, ქალაქის მუშების მდგომარეობა აუტანელი გახდა სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების მიწოდების მოუწყვრელობით. ქალაქის მუშები განიცდიდნენ დიდ გაჭირვებას, შევიწროვებას და ხელისუფლება იძულებული ხდებოდა „სამხედრო კომუნიზმის“ წესით, იძულებით გაეტანა სოფლიდან ქალაქში აუცილებელ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი პროდუქტები.

სიმშვიდის დროს გლეხების მდგომარეობა დაეცა. დამუშავდა რაიონები დახმარებას იღებდნენ ქალაქებიდან და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ენერგიულმა მუშაობამ შეიძინა, ხოლო მუშების დახმარება გაჩვენდა, შესძლო საბჭოთა რესპუბლიკების გამოყვანა უნუგეშო მდგომარეობიდან.

დღეს რუსეთში პურის კარგა მოსავლა და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების შედარებითი სიმრავლე გამოიწვია გლეხის მეურნეობის პროდუ-

ქტების გაიფუტა. ეს მდგომარეობა თუ ხელს უწყობს ქალაქის მცხოვრებთა საარსებო პირობების გაუმჯობესებას, იგი სცემს გლეხის შრომის პირობებს. ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენ სოფლებს, მისთვის აშკარა იქნება გლეხის გასაჭირი და ამ გასაჭირის მთავარი მიზეზი.

გლეხის ერთადერთი შემოსავლის წყარო მის მიერ ნაშაგარი მისი შრომის ნაყოფია, რომელიც უმთავრესად ხორბლეულობას წარმოადგენს. ხორბლეულობის ფასი კი დღეს მეტად მცირეა.

დღეს რუსეთში უკვე ეწყობა პურის გატანა. ევროპის ბაზარიც მოითხოვს რუსეთის პურს. ეს საკითხი დიდად მნიშვნელოვანია საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მიუხედავად ამისა ჩვენ ერთადერთ ზომად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ფასის აწვევასათვის ე. ი. გლეხის შრომის დაფასებისათვის, რუსეთის პურის ექსპორტს ვერ დაუტყდით. საჭიროა სხვა ზომები რომ გლეხის შრომის ფასი დაედოს. ამას მოითხოვს არა მარტო გლეხის პირადი ინტერესი, არამედ სასოფლო-სამეურნეო კულტურის გაფართოებაც. თუ არ დაფასდა მეურნის შრომა, ცხადია დაინგრება მეურნეობა, ჩვენი ქვეყანა კი სასოფლო-მეურნეობას ეყრდნობა. საჭიროა ამ მხრით პრაქტიკული ზომები.

პროსა

გაზ. „კომუნისტი“ № 144 შემდეგსა სწერს ახალი ლოზუნგის შესახებ, რომელსაც ჩვენ შეგვიერთობით „ტრიბუნის“ № 501-ში:

„რუსეთის რევოლუცია ორ მთავარ სოციალურ ძალას ემყარება: სამრეწველო პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას. რევოლუციის განვითარების პროცესში აშკარა გახდა, რომ მუშათა კლასი შეინარჩუნებს და განამტკიცებს თავის მონაპოვართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხობა ამოუდგება მას გვერდში და სასიცოცხლოდ იქნება დაინტერესებული რევოლუციის გამარჯვებით.

ამიტომ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ცდა იქითკენაა მიმართული, რომ განამტკიცოს კავშირი მუშებსა და გლეხებ შორის. ეს ლოზუნგი განსაზღვრავს მისი პოლიტიკის მთავარ მომენტებს.

„გლეხობა ზურგს უმატებს მუშათა კლასს, ის პოლიტიკურად და სამეურნეო შედეგებით ამავრებს საბჭოთა წყობილებას. რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საბჭოთა ფედერაციაში პირველ ყოვლისა სწორედ პროლეტარიატის და გლეხობის ამ შედეგით კავშირით აიხსნება.“

„ოქტომბრის რევოლუციის ამ გაკვეთილს არა აქვს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ საერთაშორისოც.

იმ თავითვე ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, თუ იგი საერთოდ შეიძლება გამართლებულ იქნას, ეს გამართლება უნდა ეპყროთ მხოლოდ რუსეთის სინამდვილის განსაკუთრებულ პირობებში.“

...მაგრამ მსოფლიო რევოლუციის ნელი ტემპით განვითარებამ, რომლის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში გლეხობა აქტიურად არ ჩაება რევოლუციონურ მოძრაობაში, კორექტივები შეიტანა ასეთ შეხედულებაში. გლეხობა

ბის მოთხოვნილებებისათვის მეტი ანგარიში გაწევა, ვინც ეს დღემდე იყო, და ამით მისი მიმხრობა მეტროპოლი პროლეტარიატისადმი ეკონომიურად წინ წაწეულ ქვეყნებშია, მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ მთავარ პირობად რევოლუციის გამარჯვების.

უკვე კომინტერნის მეოთხე კონგრესზე აღიარებული იყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება მოუხდებოდა დასავლეთის პროლეტარიატსაც, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებთან შეფარდებით. მეტი თუ ნაკლები მასშტაბით და ამა თუ იმ ფორმით.

უკვე ამ აღიარებაში იყო ჩაქსოვილი ლოზუნგი მუშათა და გლეხთა მთავრობის, რომელიც მიიღო კომინტერნის ეხლა დასრულებულმა პლენუმმა. ფაქტია, რომ გლეხობა დიდ ძალას წარმოადგენს არა მარტო მეტწილად აგრარულ ქვეყნებში, არამედ ამავე დროს სამრეწველო ქვეყნებშიც, როგორცაა, მაგალითად, სხვა უფრო წვირილ სახელმწიფოებზე არ ვილაპარაკოთ, გერმანია, შემდეგ საფრანგეთი და იტალიაც.

მუშათა კლასის გამარჯვება ასეთ ქვეყნებში შეუძლებელია, თუ მას არ მიეძღრო მოსახლეობის ისეთი დიდი ნაწილი, როგორიცაა გლეხობა.

დღემდე ჩვენი პარტიები დასავლეთში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გლეხთა საკითხს, გლეხურ მასას არ აწარმოებდნენ სათანადო მუშაობას. ამით გლეხობა კომუნისტური მოძრაობის გარეშე დარჩა და მუშათა რევოლუციონური მოძრაობა შეფერხდა.

ამიერიდან ბოლო უნდა მოელოს ასეთ მდგომარეობას.

რამდენს მოიგებდა რევოლუციის და სოციალიზმის საქმე, რომ ასეთი გზა იმ თავითვე ყოფილიყო აღებული მარქსისტების მიერ?

გადასახადების განცხადება

რურის საკითხი
პარიზი. 24 ივნისი. ლონდონის, ბრიუსელს და პარიზს შორის გრძელდება მოლაპარაკება გერმანიის უკანასკნელი ნოტის პასუხის შესახებ, მიუხედავად ზოგიერთი ვაჭრების მტკიცებისა, რომ მიღწეულია შეთანხმება პარიზსა და ბრიუსელს შორის, მათ შორის უთანხმოება არ არის მოსაშობილი. გადმოგვცემენ, რომ ბელგიის შთავრება გადასცემს ლონდონს, თავის სეპერარტიულ პასუხს ბალდინის ნოტზე იმ მიზეზით რომ ინგლისის ნოტში არის პუნქტი, რომელიც შეეხება მხოლოდ ბელგიას. გადმოგვცემენ, რომ ბუნკარემ პირადად გაუკეთა რედაქცია იმ პასუხს, რომელიც გადაეცემა ლონდონს ბელგიის მთავრობის თვალსაზრისის გამოკვლევის შემდეგ. გაზეთები, რომლებიც გამოხატავენ საფრანგულ

აღნიშნვენ, რომ რურის ოკუპაციის ხასიათი შეიცვლება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ.
მოსკოვი. 25 ივნისი. გერმანიის საელჩომ მოსკოვში გადასცა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ნოტა რურის ამბების გამო. ამ ნოტაში გერმანიის მთავრობა აქცევს ყურადღებას იმ ძალადობას, რომელსაც სწაღიან საფრანგეთის და ბელგიის საოკუპაციო ჯარები დაკავებულ ოლქების მცხოვრებლებს მიმართ. 26 მაისს, როგორც ნათქვამია ნოტაში, საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნლის განაჩენის მიხედვით დახვრიტეს კომერსანტი შლიაგეტერი, რომელსაც ბრალს სდებდნენ საბოტაჟში 10 ივნისის დორტმუნდში საფრანგეთის ორი

17 ივნისს საფრანგეთის ჯარისკაცებმა დახვრიტეს რელიგიურად 19 წლის კარლ-მელდერი. 13 ივნისს სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილით დასაჯა მიუსაჯე ინსტრუქტორ-აგრონომი მერკესი, ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც საფრანგეთის მთავრობა მართლაც პასუხისმგებელია წინააღმდეგობის შეწყვეტის.

ფრანგების მოქმედება უნაყოფოდ სტოვეს გერმანიის მთავრობის ზომებს რუტის მცხოვრებთა დასაშვადგენად გერმანიის მთავრობა მრავალჯერ მოითხოვდა ამ საქმის გადაცემას საერთაშორისო კომისიისათვის. მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ამას უყურადღებოდ სტოვებდა.

გერმანიის მთავრობა, აცხადებს რა პროტესტს საფრანგეთის ძალადობის პოლიტიკის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა შედეგებისადვის ეკუთვნის მხოლოდ საფრანგეთის მთავრობას.

პარიზი. 26 ივნისი. პავსის სააგენტოს ცნობით, მრეწველობის მდგომარეობა რუტში თანდათანობით უარესდება. უმუშევართა რიცხვი დღით დღე მატულობს. მრავალ ქარხნებში დაიბოვდნენ მოსამსახურეების ნაწილი და მუშაობა სწრაფობს კვირაში სულ 3—4 დღეს. 25 ივნისიდან სამუშაო ხელფასი რუტის მემლარეებს გაუდიდა 25,900 მარკით. დიუსელდორფის ტრანსპორტულმა დაიწყო მოლაპარაკება წარმოების მეტატრონიკებთან სამუშაო ხელფასის 100 პროცენტით გადიდების შესახებ.

ბერლინი. 26 ივნისი. შვეიცარიის მთავრობამ მიმართა პარიზს პროტესტით დორტმუნდში საფრანგეთის ჯარისკაცების მიერ შვეიცარიის მოქალაქეების დახვრეტის გამო, რომელშიც მოითხოვს, რომ დამნაშავეები მიცემულ იქნენ პასუხისმგებლობა და აღნაზღაურონ ზარალი დილუპულთა ოჯახებს.

ლოზანის კონფერენცია

პარიზი. 26 ივნისი. ორშაბათს, საფრანგეთის წარმომადგენლის გენერალ პელესს თავმჯდომარეობით გაიმართა საფრანგული კომისიის სხდომა იმ შეთანხმების დასაბოლოებლად, რომელიც მიღწეულია ისმერ-ფაშას და მოკავშირეთა დელეგატების შორის მომხდარ თათბირზე მეორე ხარისხიდან საფრანგული საკითხებში. საბერძნეთის დელეგატმა გამოსთქვა იმედი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები შეთანხმდნენ სახელმწიფოებთან იმ დათმობათა გარეშე, რომელზედაც წავიდა ოსმალეთი თინანსიურ საკითხებში...

გენერალმა პელემ უპასუხა, რომ ასეთ ექვემდებარება ადგილი უნახსოვს. შემდეგ საფრანგული კომისიამ საბოლოოდ შეიმუშავა ხელშეკრულების 57 მუხლი, რომელიც ეხება ოსმალეთისათვის ზარალის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგებას.

მარკს-ენგელსის კომუნიზმი

პროვინციული საკითხი

ნ. მე-XIX-ე საუკუნის ნაციონალური მოძრაობანი და მარკს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა.

„თუ არ გაერთიანდა ყოველი ერი ცალ-ცალკე და არ მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეუძლებელია პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება, შეუძლებელია ამ ერების საერთო მიზნებისათვის დამზადებული და შეგებული თანამშრომლობა.“

ფ. ენგელსი. (1893 წ.)

ყველა ამ ნაციონალური მოძრაობის სარჩულია ედვარდ ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის იდეა. დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფო ხდება ევროპის ბურჟუაზიის ერთი მთავარი მოთხოვნა და იგი იჭრება მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალურ ადგილას.

ამ. ზინოვიევი თავის მიმოხილვაში ამ საკითხის შესახებ წერს: „ბრძოლა ნაციონალურ სახელმწიფოების შექმნისათვის ავსებს მთელ რიგ ათეულ წლებს მე-XIX-ე საუკუნეში, რომელიც დეზულოზს რა განსაკუთრებულ დრამატულ ფორმებს, მიყვას რიგ ომებისა და სახალხო მოძრაობისა, წარმოადგენს იმპულსს მთელ რიგ რევოლუციურ მოძრაობებს. ბრძოლა იტალიის თავისუფლებისათვის, გერმანიის გაერთიანებისათვის ოსმალეთის ბატონობისაგან, ირლანდიის ბრძოლა საბერძნეთის, ბოლგარეთის და რუმინეთის განთავისუფლებისათვის ჰომერული სახეობისა. ბრძოლა პოლონელებისათვის პოლონეთის სახელმწიფოს აღსადგენად 1883 წ. აჯანყებულ—ყველა ესენი რგოლებია ერთი და იმავე მოვლენათა ჯაჭვისა. ყველა ესენი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ეპიზოდები ნაციონალური სახელმწიფოსათვის ბრძოლის ეპოქადა.“

ეს ბრძოლა გაგრძელდა ბალკანეთზე 1912—13 წ., და კიდევ 1914—16 წ. ჩვენ გვხვდებით მისი სუსტი გამოძახილი სრულიად ევროპის ომის მიყრდნულ კუთხეებში“ (იქვე—22).

ამ მიმოხილვიდან ნათელი ხდება, თუ როგორი ძირითადი მოვლენები ახასიათებდა მე-XIX-ე საუკუნის ნაციონალური მოძრაობას; ეს ძირითადი მოვლენები დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გაერთიანების სურვილი გამოიხატა.

როგორი იყო დამოკიდებულება მარკს-ენგელსის მიმართ, რომელმაც გადაჭრული ფაქტორის როლი ითამაშა მე-XIX-ე საუკუნის მრავალ ნახევრის პოლიტიკაში?

ეტნას ამოხევა

რომი. 26 მაისი. კატანიიდან მიღებული ცნობით, ამ უკანასკნელ დროს ეტნის აქტიურობა დაეცა შესუსტება.

რომი. 25 ივნისი. კატანიიდან მიღებული ცნობებით, ქალაქი ლინგუალისა გადაურჩა განადგურებას. ღველვის ნაკადმა, რომელიც მიუხალოდა ქალაქის ჩრდილო დასავლეთ ნაწილს, გვერდით აუარა ქალაქს. თუ ეტნას ამოხევის ძალა შესუსტდა ქალაქი გადარჩება. ღველვი, რომელიც ყოველმხრივ გარს აკრავს ქალაქს ცივდება, სიციხე, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში აუტანელი იყო, კლებულობს. გუშინ მცხოვრებლებმა დაიწყეს თავის ბინებში დაბრუნება და ქალაქის გაწმენდა. ქალაქში ჩამოდიხ მრავალი ტურისტი.

რომი. 26 ივნისი. სამეცნიერო ექსპედიცია რომელიც ახდენდა კრატერების გამოკვლევას, იუწყება, რომ ღველვი თუშა ამოდის, მაგრამ არა ძველი რაოდენობით და ძალით.

ახალი ამბები

— **წარწერები.** ქალაქის აღმასკომმა წინააღმდეგ მისცა სამართლებრივი განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა შეცვლილი იქნას საეკონომიკური და დაწესებულებებზე ისეთი წარწერები რომლებიც არ შეეფერებოდნენ ვაჭრობის ხასიათს.

— **ქართული ენა.** ყველა საეკონომიკურ ეკლესიათა ძირითადი წარწერა მოახდინონ ქართულ ენაზე.

— **თედო ლლონის მივლინება.** ანხ. თედო ლლონის მივლინების გამო მოსკოვში შეყვანილი იქნას კომუნალური გადასახადებზე სოციალ-დემოკრატიული ტარიფების გამომუშავებელ კომისიაში ანხ. არჩილ რუხაძე.

— **ბაქოს იარაღი.** ბაქოს იარაღი გაგრძელდება 5 ივლისამდე.

— **სახლის დავები.** ტუ. აღმასკომის სამართლებრივი სახეობის წევრების შეძენის უკანასკნელ დღიდან დანიშნა 5 ივლისი, ვინც არ შეიძენს აღნიშნულ რიცხვისთვის გადახდებულ ჯარიმა 15 ნახ. ჩერგონცამდის ან და დატუსაღებული იქნება აღმინისტ. წესით. 2 თვემდის.

— **დადგენილება.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა მოაწიოს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ამშენებლებს პუნქტები, ამ რაიონულ პუნქტებშია შეიძლება მხოლოდ სამშენებლო მუშა ხელის მოწვევა.

— **შრომის ბირჟა.** 27 ივნისის ოფიციალური ცნობა—გამოცხადდა 509 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 139, მოთხოვნილება იყო 114, გაიგზავნა სამუშაოზე 50. მეტი წილი მამაკაცები.

ქვეყნებში ბურჟუაზიის განვითარების ერთ ერთ პირობად მიიჩნიათ ეროვნული დამოუკიდებლობის არსებობა. 1893 წ. „კომ. მან.“ იტალიურ გამოცემის წინასიტყვაობაში ენგელსი წერდა: „ყოველ ქვეყანაში ბურჟუაზიის ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეროვნული დამოუკიდებლობა. ანაირად, 1848 წლის რევოლუციის უნდა მოყოლოდა გაერთიანება და დამოუკიდებლობა ყველა იმ ერებისა, რომელთაც იმ დროს არც ერთი ეს არ ჰქონდათ: იტალიის, გერმანიის, ჰუნგარიის. პოლონეთის თავის დროზე მათ კვალს დაადგება“ (გვ. 66). მე უკვე შემთხვევა მქონდა—წინა წერილებში ხაზი გამესვა და აღმნიშნა, რომ მარქსი და ენგელსი თავიდანვე აღნიშნავენ, რომ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების განვითარების გამო ისტორიული ცხოვრება ევროპისა ყალიბდება დიდ ნაციონალურ სახელმწიფოების საფუძვლებზე, რაც მათი აზრით უარყოფითად ნორმალურ პოლიტიკურ კონსტიტუციის ევროპის გაბატონებულ ბურჟუაზიისათვის. ამ გვარად მარქსისა და ენგელსის გაგებით ბურჟუაზიულ ცხოვრების მიმდინარეობაში თავისი გარკვეული ტენდენციების წყალობით თავისთავად გამოიწვია ლტოლვა სხვა და სხვა ერებში—ნაციონალურ დამოუკიდებლობისადმი და ევროპის კონსტიტუცია მოახდინა ნაციონალური სახელმწიფოების საფუძვლებზე. რამდენად მისაღები იყო პროლეტარიატის ინტერესებისათვის ისტორიული ცხოვრების ასეთი ტენდენცია? შეიძლება თუ არა ეს პროცესი კულტურულსა და პროგრესულს ელემენტებს? მარქსმა და ენგელსმა ამ საკითხის შესახებაც თავიანთი გარკვეული სიტყვა სთქვეს და ამ პროცესში დაინახეს პროგრესის აუცილებელი პირობა. მე ამის შესახებაც საკმაოდ მოვიყვანე ცნობები მარკს-ენგელსის წერილებიდან. მკითხველს აქ გაეახსენებ მხოლოდ ერთ ადგილს ენგელსის წერილიდან (1888 წ.), რომელშიც ავტორი ამბობდა შემდეგს:

„იგივე (ნაციონალური სახელმწიფოები) წარმოადგენს აუცილებელ წინააღმდეგობას ხალხების (ერების) პარმონიულ ინტერნაციონალურ თანამშრომლობის შესაქმნელად, ურთიერთობის შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა.“

ასეთივე მარქს-ენგელსის მხრიდან პრიციპიალური შეფასება ზემოდ აღნიშნულ ისტორიულ პროცესისა ნაციონალური საკითხში. გაერთიანება დანაწილებულ ერებისა და შექმნა დამოუკიდებლობის ყველა ერებისათვის—ეს არის ის ძირითადი საფუძველი, რომლის წყალობითაც ისინი ფიქრობენ პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებას ყოველი ერის საერთო მიზნებისათვის დამზადებულსა და შეგნებულ თანამშრომლობას,

ყება, რომ ღველვი თუშა ამოდის, მაგრამ არა ძველი რაოდენობით და ძალით.

კრატერიდან ამოდის კვამლი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მთა მშვიდდება. დაახლოებით ანგარიშით ამოხეტილი ღველვის რაოდენობა უდრის რამდენიმე მილიონ კუბიკურ ფუტს. ღველვი ბევრ ადგილზე იმდენად გაცივდა, რომ შეიძლება ხელის მიკარება.

რუსეთის ცნობის გარეშე

ნიუ-იორკი. 18 ივნისი. ვაშინგტონის გაზეთი „პოსტის“ სწერს: შეერთებულ შტატებში ამ ზამთრის განწყობილება, რომ ცხლა უფრო შესაძლებელი იყო მის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობა, ვიდრე როდისმე, მაგრამ ამერიკა რუსეთისაგან მოვლის პირველი ნაბიჯის გადადგმასა.

გუგერი დიდს მნიშვნელობას აწერს ეკონომიურ ფაქტორს და რუსეთის ხორბლეულობის გარე-მაზარზე გამოსვლა საგონებელში ავდებს.

— **დამზღვევი კასა.** დამზღვევა კასამ წინააღმდეგ მისცა სამკურნალო განყოფილებას გახსნას ტაბახმუშა აფთაქი მუშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

— **სუშუბათშილი (იუფინის) სახელობის სტიპენდიანტები.** ტუ. აღმასკომმა დაადგინა აყვანილ იქნას აკაცი ფალავის ხელმძღვანელობით არსებული დამატებულ სტუდიის მოწვევა ვასილ გოგოლაშვილი და პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის მოწვევა შალვა ასლანიშვილი. აღნიშნული პირები სტიპენდია დაენიშნოს 1 ივნისიდან იმ რაოდენობით, რასაც ლეზულოზენ სახელმწ. სტიპენდიანტები.

— **პროფ. თოიძის განცხადება.** ტუ. აღმასკომმა დააკმაყოფილა მხატვარ მოსე თოიძის განცხადება, თვითონ დახმარების განახლების შესახებ 1 ივნისიდან. ეს დახმარება წინეთ ეძლეოდა თოიძის სტუდიის, მაგრამ რატომღაც 1 მარტიდან შეწყვეტილი იქნა.

— **ცეცხლის მქრობელთა მანქანები.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მიღებული 50 აპარატი განაწილებულ იქნა ქალაქის წარმოებაში და დაწესებულებებში, ცეცხლის მქრობელ რაზმის და კომუნალურ განყოფილების მიხედვით.

— **ტრამვაის ახალი მიმოსვლა ფუნიკულირამდნი.** პირველ ივნისიდან დაიწყო ტრამვაის ახალი მიმოსვლა თავისუფლების მოედნიდან ფუნიკულირის სადგურამდე შემდეგი ტარიფით: თავისუფლების მოედნიდან ქვედა ფუნიკულ. სადგურამდის 100.000 მან.

ფუნიკ. ქვედა სად. თავის მოედნი. 100.000 მ. თავისუფლების მოედნი. ფუნიკ. ზედა სადგურამდე

ენგელსის ეროვნული პროგრამა კონკრეტულ ისტორიულ პირობების მიხედვით ცალკე წესების მიმართ.

მარქსი რევოლუციონური სტრატეგიის მთავარ ყურადღებას შეადგენდა 1848 წ. რევოლუციის დროს გერმანეთი მრავალ წლების განმავლობაში გერმანიის გრი განვიდდა მრავალი გვარ ნაციონალურ ჩაგვრას. ისტორიულად გერმანიის გაერთიანება ერთ ეროვნულ სახელმწიფოს ფარგლებში შეუძლებელი შეიქმნა სხვა და სხვა პირობების გამო, მეორეს მხრივ, ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფო საფრანგეთი, რომელსაც შემდეგში მიემატა რეაქციონური რუსეთი, ყოველგვარი საშუალებით სჩაგრავდნენ გერმანიის ხალხს ართმევდნ მას ტერიტორიის და არ აძლევდნ ეროვნული განმტკიცებისა და აღორძინების საშუალებას. ასეთს პირობებში გერმანიის ხალხმა თავის თავად მოპოვდა სურვილი ეროვნული გაერთიანებისა და გარეშე მოძალადების უფუ ქვეყნისა.

მარქსმა და ენგელსმა განსაკუთრებული ყურადღებით აღწერეს გერმანიის ასეთი მდგომარეობა და გარკვეული პროგრამა წამოაყენეს მისი განსათავისუფლებლად. თვით მარქსი 1852 წ. ხაზგასმით აღნიშნავდა იმ დიდ მიდრეკილებას, რომელიც დაბუდებული იყო გერმანიის ხალხში და რომელიც მოითხოვდა სახალხო ტერიტორიალურ დანაწილების მოსპობას. გერმანიის ნაციის კოლექტიურ ძალას რომ ასე აბსურდად ანადგურებდა. 1848 წელში „კომუნისტების კავშირმა“ გამოუშვა მოწოდება „მოთხოვნილებანი კომუნისტური პარტიის გერმანიისში“. ეს ცირკულიარი მოითხოვდა ერთიან და განუყოფელ რესპუბლიკის დაარსებას გერმანიაში პარლამენტარიზმის საფუძველზე. ეს იყო ის მთავარი მოთხოვნები, რომლითაც მარქსი ცდილობდა გადაეტყვია გერმანიის ეროვნული საკითხი და რომელსაც ის ყოველ შესაფერის პირობებში აყენებდა ბურჟუაზიულ პერიოდისათვის (დამწერლობითი ცნობები იხ. ზინოვიევის წიგნი).

„ახალი რეინის გაზეთში“ მარქსმა გაშალა ამ მოვლენის მეორე ძირითადი მიზეზის იგი სწერდა: „მხოლოდ ბურჟუაზიული თვალსაზრისის წერტილიდანაც სრული გაერთიანება გერმანიის წარმოადგენს პირველ პირობას იმიტომ, რომ გადაარჩინო იქმნეს ის დღევანდელი საცოდავ მდგომარეობიდან და შეიქმნეს ნიადაგი ნაციონალური დოვლათის ზრდისათვის. ან როგორ უნდა გადაწყდეს თანამედროვე სოციალური პრობლემები იმ ტერიტორიაზე, რომელიც დანაწილებულია 39 პატარა მხარეებად?“ (ის იხ. Стеклов: Карл Маркс... გვ. 25, 1923 წ.).

გერმანიის მიმართ მარქს-ენგელსის პროგრამა გარკვეული და ნათელია: მათ სურთ გერმანიის

უკან დაბრუნებით 300 ათ. თავისუფლ. მოედ. ფუნიკულ. ზედ. სადგურამდე 200 ათ. სადგურიდან თავისუფლების მოედნამდე 200 ათ. სი.

— **საშრობი მატარებელი.** ამიერ კავკასიის სამმართველო ამით აცხადებს, რომ მან მოაწყო ხილულობის და ბოსტნეულობის საშრობი მატარებელი.

— **სავალიუტო ბირჟა.** 27 ივნისის ოფიციალური კურს—ჩერონოვეცი 13,450 ათ., გირვანქა სტერლინგი 14,50 ათ., დოლარი—3,350 ათ., ოსმალური ლირა 2,375 ათ., ფრანკი 170 ათ.

— **საქონლის ბირჟა.** სიმინდზე, ხორბალზე და 1 ხარისის ფეხელზე ფასები მტკიცეა. აგრედდებილი მოთხოვნილებაა რაფინადის და შპარის ფხვნილის.

ი ა კ ო ზ ლ უ ლ ა კ ი

გარდაიცვალა იაკობ ლულაძე. ხანმოკლე იყო მისი ავადმყოფობა: 20 ამ თვეს ფეხი მოიტეხა, იგი მოსკოვში ვერ უშველა, სისხლი მოეწამლა და სალი აღამიანი წუთისოფელს გამოეთხოვა.

განსვენებული დაიბადა ქუთაისში 1866 წლის მიწურულში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ოდესის უნივერსიტეტში შევიდა საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, დაამთავრა 1892 წელს. ფაკულტეტის წინადადებით საკანდიდატო შრომა დასწერა: „Дети Боярские в Московском государстве и княжестве“, რისთვისაც ოქროს მედალით იქნა დაჯილდოებული, და საპროფესორად დატოვებული.

იაკობი ენერგიულად შეუდგა მუშაობას პროფ. უსპენსკის ხელმძღვანელობით, დიდი წარმატებაც გამოიჩინა, მაგრამ უსასრობისა და შინ ცხოვრების პირობათა შეცვლის გამო, იძულებული შეიქნა მიეტოვებინა უნივერსიტეტი და სამსახურში შესულიყო. ხელმძღვანელ პროფესორთა დახმარებით ოდესში შეადგინეს საუკეთესო ადგილი, მაგრამ იაკობმა სამშობლოში დაბრუნება ირჩია და, თუმცა მაშინ ქართველისათვის საქართველოში არც ისე ადვილი იყო სამსახურში ჩადგომა, იმავე პროფესორ უსპენსკის მეშვეობით კავკასიის სასწავლო ოქტის მაშინდელი მზრუნველი იანვსკი იძულებული შეიქნა მიეღო იაკობი მასწავლებლად ტფილისის ქალთა გიმნაზიაში.

აქედან მოყოლებული იაკობი სახედავოდა ასპარეზს არ მოშორებია. (იყო მასწავლებლად, ინსპექტორად, ბოლოს დირექტორად) და მთელი ს. მი ათეული წლის განმავლობაში ოქტში საუკეთესო პედაგოგად და აღმზრდელად ითვლებოდა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი პედაგოგიურ-აკადემიური ხასიათის, სწავლა-აღზრდის შე-

მეორეს მხრით ამასვე ითხოვენ გერმანიისათვის სხვა მეზობელ ნაციების მიმართ. ასეთს გაერთიანებაში ხელავენ ისინი სოციალურ გარდაქმნის ერთ არსებობას და რევოლუციის გასანვითარებელ ძალას. მაგრამ მარქსის პროგრამაში გერმანიის ეროვნულ ინტერესებთან ერთად მიღებულია მხედველობაში საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები და პროლეტარიატის მიზნები.

მარქსის გაზეთი სწერდა: „ჩვენ უნდა დავუხმაროთ ყველა რევოლუციონურ ხალხს,“ ჩვენ უნდა მოუწოდოთ რევოლუციონურ ევროპას საერთაშორისო ომისაკენ... რუსეთის რეაქციის წინააღმდეგ... თუ ჩვენ შევძლებთ მივიყვანოთ გერმანიის რუსეთთან ომამდე, მაშინ დადგებოდა ჰამს ბურგებისა და ჰოგონკოლერების დასასრული, და რევოლუცია გაიმარჯვებდა ყოველის ხაზით ამ რევოლუციონურ ომში ხელადა მარქსი გამოსავალს გერმანიისათვის, რომ მას „განთავისუფლებინა თავისი თავი საკუთარ სახელმწიფოს საზღვრებში, განთავისუფლებდა რა ერებს მის გარეშე“. ამ მოსაზრებით ის მხურვალედ მოუწოდებდა გერმანიის ერს დახმარებოდა პოლონელებს, იტალიელებს, ჰუნგარელებს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. „სანამ ჩვენ ვეხმარებით პოლონეთის დანგვრას, სანამ ჩვენ ვაჯავშნავთ პოლონეთის ნაწილს გერმანიისთვის,“—სწერდა მარქსი გაზეთი,—„მანამდე ჩვენ მიჯაჭვული დავრჩებით რუსეთსა და რუსეთ პოლიტიკაზე. მანამდე ჩვენ ვერ შევძლებთ დავსხვრით პატარაქალაქ—ფეოდალური აბსოლუტიზმის საკუთარ სახლში“ (იქ. გვ. 30).

მიუხედავად იმისა, რომ მარქსი დიდი მოხერხებულ იყო გერმანიის ნაციონალური გაერთიანების და დამოუკიდებლობის, იგი ყოველ შესაფერის პირობებში ენერგიულად ამხელდა თავისი ნაციონალური გვარ აგრესიულ ნაბიჯს. 1870 წ. საფრანგეთ-გერმანიის ომის გამო გამოქვეყნებულ ინტერნაციონალურ მოწოდებაში მარქსი აღნიშნავდა, რომ გერმანიის პატრიოტები ამტკიცებენ, რომ გერმანიის მშვიდობიანი ხალხია: „გამოდის, რომ 17 წ. არა გერმანელმა შეიყვანა თავისი ჯარი საფრანგეთში, უზენაესი მიზნით გაენადგურებინა X საუკუნის რევოლუცია ხიშტების საშვალდებით: მოიხსნა, რომ გერმანიის არ დაუხვრია თავისი ლეგიონების დამხმარეების, ჰუნგარიის და მონღოლთა და მარქსი და მთელი პირველი ინტერნაციონალური, თავის ნაციის“ ყოველგვარ სისაძაღლეს. თანადროვე სოციალ-დემოკრატიის, რომელთაც მარქსის მოწოდებდა მოაქცია, თავის უზენაეს მოვლენაში დაიჩინა დიდიანთი თავიანთი ნაცია ყოველ მხრით და გაამართლეთ მთელი მთელი პოლიტიკა მეორე ერი, რომელიც დანაწილებული



სახე, საკითხი არ დაისმებოდა სასწავლო მთავრობის მიერ, რომ იაკობს შიგ აქტიური და ხშირად გადამჭრელი მონაწილეობა არ მიეღო.

და როდესაც დღეს ამგვარ საკითხების შესახებ აუარებელ მასალებს ათავსებთ, თქვენს თვალწინ დგას იაკობი ნათელი აზრით, მტკიცე და შეურყეველ ნებისყოფით, ფაქტებით ხელში მომარჯვებული, ყოველგვარი ოღორ-ჩოდრობას და ბუნდოვანობას მოკლებული.

და ვინც იაკობს იცნობდა, იგი მართლაც რომ ამგვარი იყო: მართალია, პოლიტიკურ საქმიანობას მოკლებული, იგი მღელვარებისაგან ამა ქვეყნისა თითქმის განზე უნდა მდგარიყო, მაგრამ მთელ მეოთხედის საუკუნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი მშობლური საქმე (წერა-კითხვის საზოგადოება, ქართული გიმნაზია და სხ.), რომ იაკობს გულმტკიცდებოდა არ ეგრძნო იგი და თუ ხანდახან მასში აქტიურ ცხად მონაწილეობას ვერ ღებულობდა ზოგიერთ ჩვენ მოსაქმეთა უღისეობიანობისა და უსისქემობის გამო, ფარულად მაინც დიდ წნეხობას და ნიჭიერ დახმარებას უწყევდა და მისი მოლოწიერებისა და წელში გამართვისათვის.

და თუ ფართო წრეებისათვის იაკობის ამგვარი მოღვაწეობა უცნობია, ეს მისი ხასიათის ბუნე-

ბით აიხსნება: სიტყვა მცირე იყო და საქმე მრავალ!

დღეს კი ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ არა ერთი და ორი ნიჭიერი ახალგაზრდა და საზოგადო მოღვაწე გამოუზღვია იაკობს თავისი ხარჯით, არა ერთი და ორი ქართული საქმე გაუმავრებია მას ნივთიერად, მაგრამ ამას არავის უმეტადებდა, ხმაური არ უყვარდა.

დასამალავი არაა, იაკობის მიმართ ხშირად ამბობდნენ: ბიუროკრატია, ახალ აზრების წინააღმდეგო. ზღაპარია და ჩხახია!

იაკობისთანა კეთილ სინდისიერი და თავის მოვალეობაში მტკიცე და შეურყეველი, ადამიანები საზოგადოთ მეტად სასარგებლონი არიან და ჩვენისთანა პატარეების მასშტაბში ხომ საჭირო და აუცილებელი.

მტკიცე და შეურყეველი იყო იაკობი სიცოცხლეში და მტკიცედ და შეურყეველად განვიდა იგი ამიერ სოფლით: საშინელ ფიზიკურ ტანჯვას განიცდიდა, მაგრამ ერთხელაც კენესა არ აღმოხდენია, დინჯი და დალაგებული იყო იგი ცხოვრებაში და დინჯადვე განისვენა.

შვილობით!

ვუკ. ბერიძე.

მეორე თავი

კიდევ ქართული სახელმწიფო ოპერისათვის

ხელოვნებასთან ახლო მდგომი ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა, გადაწყვეტილია რუსულ ოპერასთან აგრედირ ქართული საოპერო დასის დაარსება და არტისტებს იწვევენო. ასეთი გადაწყვეტა საკითხისა, ქართველი პროლეტარიატის სულიერი კულტურისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია რომ ზოგიერთი მესვეურთაგანი ეხლავე გაიძახის მომღერლები სად ვიშოვოთ ქართული ოპერისათვისო, ამავე დროს კი მზადებაში არიან, რუსეთის დედა ქალაქები მოიარონ რუსული საოპერო დასისთვის მომღერალი არტისტების ჩამოსაყვანად.

მეშურ გლეხური საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გახერხებული ნაციონალიზაციის დროს მეტად საგულისხმოა რუსის არტისტების ჩამოსაყვანად გამგზავრება რუსეთს, როგორც ვიცით სახელმწიფო ოპერა ეხელქვეითება განათ. სახ. კომისარიატს, რომელმაც თავისი უწყების გასაეროვნულებად ფიცხელი განკარგულება გამოიყენა.

ქართველ მშრომელ ხალხს სჭირია მხოლოდ ქართული ოპერა, დამუკიდებელი, სახელმწიფოს

ეწეოდა ნაპოლეონ III-ე 1849 წ. იტალიაში შეუძლებლად ბატონობდა ავსტრია, დანაწილებულ და დამონებული იტალიის ხალხში თავის თავად მომწიფდა იდეა ნაციონალური გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისა, რომლისთვისაც თავს დებდნენ იტალიის საუკეთესო მომღერლები და რევოლუციონერები, მაგრამ მას თავგამოდებით ებრძოდა ავსტრია, რომელსაც სურდა დანაწილებულ მდგომარეობაში დაეტოვებინა იტალია და ამ გზად იგი თავისი ბატონობის ობიექტად გადაექცია. ავსტრიის პოლიტიკას მხარს უჭერდნენ იტალიის პროვინციის წევრი თავადები, რომელთაც იტალიის გაერთიანება გაქრობას უქადდა ამგვარად ნაციონალური მოძრაობა იტალიაში წინააღმდეგ უცხოელთა ბატონობისა, გარდაიქცა მასთანვე იტალიის ხალხის რევოლუციონერ მოძრაობად მისი შინაური მართელობის, საკუთარი თავადების წინააღმდეგ. (იხ. ზინოვიევის წიგნი—29), როგორც ვიცით, მარქსი და ენგელსი ენერგიულად მხარს უჭერდნენ იტალიის განთავისუფლებას და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევის პროგრესს აყენებდნენ. ჩვენ ვერ მოვიყვანოთ აქ მათ პოლიტიკის დამახასიათებელ მომენტებს სხვა და სხვა ისტორიულ პერიოდებში იტალიის განთავისუფლების შესახებ. მე ვფიქრობ სრულიად საკმარისი იქნება მკითხველს გავაცნო ენგელსის შეფასება იტალიისა და გერმანიის განთავისუფლების უკვე მომდარ ფაქტის შემდეგ, რომ ნათელი გახდეს ამ პროგრამის ძირითადი შინაარსი. 1893 წ. „კომუნისტურ მანიფესტის“ იტალიურ გამოცემის წინასიტყვაობაში ენგელსი სწერს შემდეგს:

„კომუნისტურ პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეხვდა 18 მარტის დღეს, მილანის და ბერლინის რევოლუციებს, რომელიც წარმოადგენდა აჯანყებას ორი ერისა, რომელნიც მოსახლეობენ: ერთი ევროპის კონტინენტის ცენტრში, მეორე ხმელთა შუა მხრის ცენტრში. ორი ერი, რომელთაც იქამდე მჭიდროდ შეინარჩუნებდნენ ანაქსიზმები და უთანხმოებანი და რომელნიც ამის გამო უცხოელთა ბატონობის ქვეშ მოექცნენ. თუ იტალია დამორჩილებული ჰყავდა ავსტრიის იმპერატორს, გერმანიას, თუმცა არა პირდაპირის გზით, დაეგდა არა ნაკლები მიმე უღელი სრულიად რუსეთის მეფისა. 18 მარტის რევოლუციამ გაანთავისუფლა იტალია და გერმანია ამ ხარცხილობისაგან. და თუ 1848 წლამდე 1871 წლამდე ეს ორი დიდებული ერი აღსდგა და, ასე თუ ისე, „თავის თავს დაუბრუნდა“, ეს, როგორც იტყობა კარლ მარქსი, მოხდა იმიტომ, რომ სწორედ ეს ადამიანები, რომელნიც 1848 წლის რევოლუცია დათურგნეს თავის უნებურად, მისივე (რევოლუციის) ნების ამსრულებლად გადაიქცნენ... მაშ ასე, თუმცა 1848 წელს რევოლუცია სოციალისტური რევოლუცია არ ყოფილა, მაგრამ

და არა სხვა ოპერის კულში გამობრული, ხოლო თუ მიუცლებელია, უმჯობესი იქნება ქართული ოპერის ბედს დაუჯავშნოთ ქართული დრამისა და ორივე ერთი გამგეობის უწყებაში. მოვალეობით რუსული ოპერა საჭიროა ყოველ შემთხვევაში არა ქართველი მშრომელი ხალხისათვის, რადგანაც ქართველმა მშრომელმა ხალხმა მხოლოდ ქართული იცის, რუსული ენა კი საქართველოში ხალხის თავზემოთი ენა არის. მაშასადამე რუსული ოპერა დედა ქალაქში საჭირო ყოფილა, რომ ყურთა სმენა დაუტყბოს მას, ვინც მშრომელ ხალხზე შორსა სდგას და ასრულოს, როგორც ძველი რეჟიმის დროს იყო, ველოკორნული ნაციონალიზმის გამავრცელებლის როლი, რაიც მძაბრული პარტიისაგან სასტიკად აკრძალულია.

საქართველოს მშრომელი ხალხისთვის საჭიროა, იცოდეს, ექნება, თუ არა მომავალ სეზონში სახელმწიფო ქართული ოპერა, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელიც მოვალე იქნება სისტემატური დასადგას ევროპულ ქართული ოპერები აქონამდე რაც იყო, იმას ვერ ჩავსვით სამსახურად ქართული ხელოვნებისათვის, რომელიც უნდა იქნეს ქართული მშრომელი ხალხის განმავითარებელ-განმავაჟიხებელი, მაშასადამე რაც იყო

მან გზა გაუჟავა, ნიადგი მოუშვა და მას... ამ ნიარად 1848 წლის ბრძოლებს ამაოდ არ ჩაუვლია ამაოდ არ ჩაუვლია აგრეთვე იმ 45 წელს, რომელიც ამ რევოლუციონერ ეპოქას ვგაბარებს. მასი წყვილი მოწვევას იწყებს... (არ. თარგმანი გვ. 65-6 კურსივი ჩემი).

ამ შეფასებაში აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ გერმანელებისა და იტალიის „დიდებულ ერების“ განთავისუფლებაში ენგელსი ხედავდა, 1848 წლის რევოლუციის „ნების აღსრულებას“. ამ ერების განთავისუფლებით გზა გაეხსნა კაპიტალიზმის შემდეგ განვითარებას და ნიადგი შეუმზადა პროლეტარულ რევოლუციას.

ცნობილია მარქს-ენგელსის დიდი სიმბატები სიფრანგეთის ნაციის მიმართ: მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის გაბატონებულ ხელმძღვანელებს აშკარა აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდნენ გერმანიის მიმართ და რეაქციის ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ ევროპაში, მათ არასოდეს არ დაუფიქნიათ საფრანგეთის ეროვნული ინტერესები. რეინის გაზეთმა თავის არსებობის პირველსავე თვეში გარკვევით გამოსთქვა თავისი შეხედულება და სიმპატია საფრანგეთის მეომარ-ნაციის მიმართ: ბურჟუაზიის ივლისის გამარჯვების გამო, გაზეთი სწერდა, „წამიერი გამარჯვება უხეში ძალის ნაყიდა თებერვლის რევოლუციის ყველა მოტყუილებათა და ილიუზიების გაქრობით, საფრანგეთის ნაციის ორ ნატიად გახლეჩილ-მეხატურეთა ნატიად და მუშათა ნაციად. (სტეკელის წიგნი—22). მარქს-ენგელს უკანასკნელი ნაცია მისი ინტერესები ყოველთვის ჰქონდა მხედველობაში და ენერგიულად იცავდა მის ეროვნულ ინტერესებს. ელზას ლორენის საკითხი თავიდანვე ერთ უდიდეს კითხვას წარმოადგენდა ევროპის პოლიტიკისათვის, მარქს-ენგელსმა და მულშა პირველმა ინტერნაციონალმა დაჰკპო გერმანიის აგრესიულ პოლიტიკა ამ საკითხში და მოითხოვა ელზას-ლორენის გადაცემა უკანვე საფრანგეთისათვის. საფრანგეთ-გერმანიის ომის გამო გამოშვებულ მეორე მოწოდებაში (1870 წელს 9 ენკენის თვეს), რომელიც შედგენილი იყო მარქსის მიერ, ინტერნაციონალის საბჭომ მეტად საყურადღებოდ სახელმძღვანელო პრინციპი წარმოადგინა: ამ მოწოდებაში ჩვენ ვკითხულობთ: „Rassemblement fraternel, развие не является вообще чуждым и анахронизмом возводить военные соображения в принцип, согласно которому должны определяться национальные границы... Ели бы национальные границы определялись военными интересами, то претензиям не было бы конца... (К. Маркс: „Гражданская война во Франции“ გვ. 23). მაშ რა უნდა იყოს ამის გამიჯნავი საზომი? მცხოვრებთა ეროვნება, ენა და მცხოვრებთა

ის უგულებელ ჰყოფდა თვით ქართველ მშრომელ ხალხსა.

როცა რუსული ოპერისთვის იმდენი ფული იხარჯება და ქართული საოპერო სპეკტაკლი წყალობა გამძაბრა, ისიც იშვიათად გასაღებელი, ყოველი ადამიანი იფიქრებს, რომ ქართული ოპერის საქმე ხელოვნურად შეფერხებული ყოფილა. ქართველი მუშა გლეხების ხელმწიფო თუ რუსული ოპერისათვის ხარჯს ეწვეა, ქართულ ოპერისათვის ხარჯს უფრო გულუხვად გაიღებს, მაგრამ ოპერის ეხლანდელ მესვეურს რადგანაც სვე ვერ გაუტანია,

მოკლად ეზა

მოქალაქენო!

ამ მოკლე ხანში სახელდობრ ამა წლის ივნისის 30 ქალკ ფოთში იმართება 25 წლის იუბილე სახალხო სიმღერების დაუღალავ მუშაის ძეგლად.

ვისაც ეს სახელი სმენია ის უსათუოდ დაფიქრდება და დაფასებს ამ დღეს ისე როგორც ერთს უძვირფასეს ზემის დასავლეთ საქართველოში. არავისათვის ახალს არ შეადგენს ლოტარის ძეგლად სახალხო მოღვაწეობის მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ-ჩვენ რათა აქ მოკლედ აღვნიშნოთ პატივცემულ იუბილიარის 25 წლის დაუშრეტელი ენერგია. ოციოდ წლის წინად შავი ზღვის განაპირა ქალაქებში კენტ-კენტად გაისმის სახელი ძეგლად ლოლუასი, რომელიც სათავეში უდგა მეგრულ-აფხაზურ მომღერალ გუნდებს, ეს სახელი თან და თან იზრდება და გადადის საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში.

ის ამ ხნის განმავლობაში ქმნის და აგროვებს ხალხში გაბნეულ და გაფანტულ სიმღერებს აღგნს მრავალ ახალ გუნდებს უფლის როგორც ერის უძვირფასეს საუნჯეს. იმ დროს როდესაც ჩვენი ერის მუსიკალურ ფრონტს ამაგრებდა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სახალხო სიმღერა გალობა მას გვერდს უშვებდნენ დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს-გურიის-აფხაზეთის-რაქა-სვანეთის) მრავალი წარმტაცი და მომხიბვლელი ჰანგები რომელიც იყო ძეგლს მადლიან ხელის ნაყოფი. ჩვენ ინსტიტუტურად გვაგონდება რომ მის ენერგიას თან სდევდა ბუნებრივი შემოქმედება ის არ იყო დაჯილდოვებული მრავალგვარ აკადემიურ ცოდნით და მიუხედავად ამისა ის მუდამ გაბნეული და გამარჯვებული იყო ის ქმნიდა და ალაშქრებდა ხალხურ კილოებს კომპოზიციის ათასგვარ საშუალების გერეში.

მას ახარებდა ყოფნა არა ერთს რომელიმე წრეში არამედ ის მუდამ ახლოს იდგა მრავალ მუშა მომღერლებთან, ის მუდამ მათში ტრიალებდა და ყველაზე უკეთ ის იცნობდა მამულა სვედინ დილის, ის ეხლაც საყვარელი მამა ტვით-მიმე-

სურვილი *) ამ საზომით ელზას-ლორენი საფრანგეთის საკუთრება და მარქს-ენგელსი ენერგიულად მოითხოვდნენ მის დაბრუნებას საფრანგეთისათვის.

ამავე პრინციპების მიხედვით 1882 წელს ენგელსმა განაცხადა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება განთავისუფლებს ელზას-ლორენსო; იგივე ენგელსი გადაჭრით ილაშქრებდა ამავე რაიონების გაგერმანელების წინააღმდეგ და აყენებდა ინტერნაციონალიზმის დიდ პრინციპს: თვითგამოკვეთის უფლება ელზას-ლორენისათვის. ვიმეორებ, ყოველივე ესენი ძირითადი-ელემენტებია, რომლის მიხედვითაც მარქსი იმუშავებს თავის პროგრამას, ეროვნულ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიხედვით, დაცვა საფრანგეთის დამოუკიდებლობის. მისი ტერიტორიალური ხელშეუხებლობისა და ეროვნული ინტერესების ყოველთვის შეადგენდა მარქს-ენგელსის ყურადღების საგანს.

1871 წ. 16 იანვარს მარქსი სწერდა საფრანგეთის შესახებ ერთ-ერთ გაზეთში საფრანგეთი, რომლის მდგომარეობა, საზენიეროდ, ჯერ კიდევ არ არის უიმედო, იბრძვის „ამ უმად არა მარტო თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობისა, არამედ გერმანიისა და ევროპის თავისუფლებისათვის“. (მერინგო—362). ეს ის მომენტი იყო, როდესაც საფრანგეთში რევოლუციის ნიშნები ვითარდებოდა და პარიზი კომუნის წინააღმდეგ განიცდიდა.

მარქს-ენგელსის პოლიტიკის მთავარ ყურადღებას თავიდანვე შეადგენდა პოლიტიკის საკითხი. ეს იყო ცენტრალური კითხვა მარქსის საგარეო პოლიტიკისა. „რკინის გაზეთის“ ფურცლებზე სხვა და სხვა მოტივებსა და მოწოდებებში, ინტერნაციონალის კონფერენციაზე მარქსი და ენგელსი პირველ რიგში აყენებდნენ პოლიტიკის კითხვას და ითხოვდნენ მის დამოუკიდებლობას, ჩვენ ამ საკითხის შესახებ, საქმად ვილაპარაკოთ წინა წერილებში, და აქ აღარ შეგვირდება, აგრეთვე მკითხველისათვის გარკვეული არის მარქს-ენგელსის დამოკიდებულება ირლანდიის საკითხისადმი. მათი ყურადღების საგანს შეადგენდა აგრეთვე ჰუნგარი, რომლის შესახებ იწერებოდა „რკინის გაზეთში“ წერილები და თანაგრძნობა ნაციონალურ დამოკიდებლობის მოპოვებაში.

როგორც მკითხველი ხედავს, ამ ძირითად მოთხოვნილებებს „რომელიც მე XIX საუკ. ნაციონა-

ნამგაოს ხელი უნდა უშოს. თუ სადმეა კარგია, გამოგვხმებოდა.

ტყუილი იქნება იმის თქმა, თუ იმე, რომ გმირი ოპერები არ იყვნენ. მრავალგვარად მომღერალი სოლისტ ხოლისტი და მანქანური ქანთები თუ გენებავთ დამკრეველები, რომელთაც, როგორც გარკვეულს, ცალკე საზოგადოებაც კი შეუდგენიათ. ამ უკანასკნელთა ორი კონცერტი, ია კარგარეოლის იუბილე და აკაკი ფალავას დრამატული სტუდიის მოწვევით საჯარო გამოცდა გვამღვდეს ამის თქმის საბუთისა.

ბეტრე მირიანაშვილი.

თა სულიერ მოთხოვნილების. ძეგლს სამოქმედო ასპარეზს ცენტრი კი არ შეადგენდა არამედ თქვენ მას შეხედვითი ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხის სოფლებშიც. ის უმეტეს შემთხვევაში, გლეხებს შორის ტრიალებდა ითვისებდა მათ შინაგან ბუნებას რომელიც შემდეგ გამოქონდა და აცნობდა ფართე საზოგადოებას. ძეგლად ლოლუას ჩვენ ვხედავთ სამწერლო ასპარეზზედაც, მას აქვს მრავალი მოთხოვნი-მინიატურები, რომლებიც წარმოადგენენ ქართულ საზოგადოების რეალურ სურათს. მისი როგორც პროზა ისევე პოეზია ასახავს მასის სულის-კვეთებისა, მისი მეოხებით მრავალ ახალგაზრდას აღეძრა სურვილი მშობლიურ ხელოვნებისადმი სამსახურის და ვინ იცის თუ რამდენი დგას ძვირფას მასწავლებლის გზაზე, ხოლო ეს კი ყველასათვის აშკარაა რომ მისი მადლიერი მოწვევები, რომლებიც მრავალ ლეგიონს აღემატება გატაცებით სცდილობს რათა ქართულ მუსიკის ქორუსს შესაფერი ზეიმი გაუმართოს.

მოქალაქენო! ჩვენ ვალდებულნი ვართ, ერთი დღე მაინც ვიფიქროთ მასზე ვინ ოცდა ხუთი წელი გვემსახურა.

ჩვენ ვალად გვდევს დაფასება იმ შრომის რომლითაც მრავალგვარ დამტკბარვართ. თუ კი გვიყვარს ხალხური სიმღერა მით უმეტეს უნდა გვიყვარდეს მისი ხელმძღვანელი.

მოქალაქენო! საქართველოს ამ პატარა ქალაქში იმართება 3-ლ ძეგლს იუბილე მაგრამ იმ იმედით რომ აქ ყველანი დაგვემარება და ამ ზეიმი ჩაეგება საქართველოს ყოველი კუთხე.

საიუბილეო კომისიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სტ. გაგუა.

პრეზიდიუმის წევრნი: სპირიდონ კოკოსაძე, სოსო ფხალაძე.

კომისიის წევრნი: პროკოფი მეგრელიშვილი, სევერიან მუხრანბე, თამა ჟვანია, ნინო ქალდეიშვილი, ილარიონ უჩაშვილი, თამა ბოცვაძე, ვარლამ შავგულიძე, თამარ ჯუღელისა, ანტონ პაქორია, ლომბერიძე იაშა, ჩიქოვანი ლეონარდო. საიუბილეო კომისიის მდივანი: ვიქტორ გაბისკირი.

ლურმა მოძრაობამ წამოაყენა და მოითხოვა მისი რეალურად გადაჭრა, მარქსმა და ენგელსმა საერთოდ მხარი დაუჭირეს და პროგრესიულ მოვლენად სცნეს. გერმანიის გაერთიანება, იტალიის, ჰუნგარიის, პოლონეთის, ირლანდიის თავისუფლება, ელზას-ლორენის საკითხი—ყველა ეს ნაციონალური მომენტები მთავარ კითხვებს შეადგენდნენ მე-XIX საუკუნეში და მათ მარქს-ენგელსის მხრით დამატყოფილებული პასუხი მიიღეს.

მაგრამ იყო ერთი ფორმა ნაციონალური მოძრაობის, რომელიც მარქს-ენგელსისათვის მიუღებელი შეიძინა: ეს იყო პანსლავიაში. ამ მოძრაობაში მარქს-ენგელსი ხედავდნენ კონტრარევოლუციის შედეგს, რეაქციის მთავარ ძალას, ამიტომ ისინი სასტიკად ილაშქრებდნენ იტალიის სლავიანთა ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ გავსულიყოთ ჯერ საკითხი პოლიტიკური საზომით, და შევიდეთ ისტორიულად გავაშუქოთ ამ ერების როლი რევოლუციონერ მოძრაობაში.

მე წინა წერილებში შევეცადე დამემტკიცებინა, რომ მარქს-ენგელსი უცილობდნენ იტალიაში თვითგამოკვეთის პრინციპს. ეს პრინციპი თავისთავად გულისხმობს ერის დამოუკიდებლობას და თავის ნებაზე თავისი ინტერესების მომწყობს ასეთია პრინციპი *) მაგრამ შესაძლებელი და მისაღებია, რომ ყველან და ყოველთვის წამოყენებული იქმნეს ეს პრინციპი?—ცხადია რომ არა. ყოველგვარი პრინციპი უნდა შეფარდებული იქნეს კონკრეტულ პირობებთან და ცხოვრების საერთო მოთხოვნილებებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პრინციპი, თავის თავად ძვირფასი და მისაღები, რეაქციის გამომწვევ უხეშ ძალად გარდაიქცეს. რევოლუცია თავის თავად უმალესი კანონია ყველა რევოლუციონერისათვის, მაგრამ მისი ყოველ პირობებში ანგარიშ გაუწევლად წამოყენება შეიძლება რეაქციის წყაროდ გარდაიქცეს. მუშათა მოძრაობა ერთი აუცილებელი პირობათაგანია სოციალიზმის გასამტკიცებლად; მაგრამ ყოველგვარი ფორმა მუშათა მოძრაობისა არ არის მისაღები. ასევე ეროვნული მოძრაობაც: ყოველგვარი ფორმა ეროვნულ მოძრაობისა ყოველს პირობებში შეუძლებელია მიღებული იქნას, როგორც პროგრესის ფაქტორი.

სან—დონი.

(გაგრძელება იქნება)

*) არსებობს მარქსის რევოლუცია 1865 წ. ინტერნაციონალის კონგრესზე პოლონეთის საკითხის შესახებ, რომელშიც იგი იცავს გარკვევით ყველა ერებისათვის უფლებას. ამას ვრცლად დაუბრუნდები შემდეგ თავში: ინტერნაციონალის ეროვნული პოლიტიკა.

ს.—დ.

პარტიული

ხუთშაბათს, ივნისის 28, საღამოს 7 საათზე ცენტრალური ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიონული ორგანიზაციის წევრების საერთო კრება (1, 2 და 3-მე უბნის) ტფილისის კონფერენციისათვის დელეგატების ასარჩევად.

მოვლენი არიან პარტიულ დისციპლინის ძალით აღნიშნულ დროზე გამოცხადდენ ყველა პარტიული ამხანაგები.

რაიკომის მდივანი: ხირაძე.

დღეს, ივნისის 28-ს პარტიის მთავარ ბიუროში, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ტფილისის კომიტეტის და რაიკომების შეერთებული წინა კრებების გაგრძელება.

ტფილისის კომიტეტი.

საქალაქო კონფერენცია.

პირველ ივლისისათვის მოწვევულია ჩვენი პარტიის ტფილისის საქალაქო კონფერენცია.

მრავალი ამოცანაა გადასაჭრელი კონფერენციის წინაშე, მაგრამ მთავარი რაც ყურადღების უმთავრეს საგნად უნდა გადაიქცეს, ეს არის პარტიული მუშაობის გაძლიერება როგორც დედა ქალაქში, ისე მის მეზობელ რაიონებში.

პარტიის მთავარი კომიტეტის შემდეგ, მის ქვემდებარე ორგანიზაციებში ტფილისის კომიტეტი ერთი უმთავრესი პარტიული ორგანოა.

საორგანიზაციო მუშაობა უნდა აუცილებლად გაძლიერდეს.

ამ მხრივ ცხადი არ არის ამოწურული მაქსიმალური შესაძლებლობა და კვლავ ფართოა სამოქმედო ასპარეზი, მაგრამ ეს უფრო პარტიის მთავარი კომიტეტის საქმეა და კერძო ტფილისის საქალაქო კომიტეტის საქმეა ამ მხრივ ქალაქის მუშაობით უნდა გაუძღვას მუშაობას.

საქალაქო კონფერენციის წინ მთელი სიყბადით უნდა წამოიჭრას საკითხი პარტიული მუშაობის გაძლიერებისა.

მთავარი, რასაც უნდა გავწიოს ანგარიში მდგომარეობა იმაში, რომ უპირველესად ყოვლისა ქალაქს უნდა შემოუერთდეს მისი მასშტაბი და ერთმა ორგანომ, ტფილისის საქალაქო კომიტეტმა უნდა იკისროს სამაზრო პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობა.

ჯეროვან სიმძლავრე უნდა დადგეს საპროპაგანდო მუშაობა. სამეცნიერო წრეების დაარსება მუშაობათა და ახალგაზრდათა პოლიტიკური მომზადებისათვის აუცილებელი საქმეა.

არის მთელი რიგი ამოცანების, რომელიც კონფერენციის წინაა დასმული გადასაჭრელად. რამდენადც დიდია კონფერენციის მნიშვნელობა იმდენად ყოველი ამხანაგი ვალდებულია მომზადებული შეხვედეს მას.

8.

ტფილისი. სამშაბათს, ივნისის 26, ა. კ. ფინანსთა კომისიისათვის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოში, 2 საათზე შესდგა ამავე უწყების მუშა-მოსამსახურე მემარცხენე სოც.-ფედ. კრება. კრებას დაესწრენ აგრედვე ხაზინის თანამშრომელი ამხანაგები და მეოთხე რაიკომის წარმომადგენლები.

განხილულ იქნა ორი საკითხი: 1) საორგანიზაციო მუშაობა და 2) ტფილისის საქალაქო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.

ორგანიზაციულ მუშაობისა და ფრაქციის ფუნქციების შესახებ შეინარსიან მოხსენება გააკეთა ა. მ. გრიშა ხოფერიამ.

წამოყენებულ იქნა საკითხი ფრაქციის ბიუროს უმჯობესებაზე, რომელზეც კამათი გამოიწვია, გადაყვებულ იქნა ფრაქციის ძველი ბიურო. ახალ ბიუროს შემადგენლობაში ხმის უმრავლესობით გავიდნენ: 1) ა. მ. ხოშტარია, 2) გეგეშვიძე 3) საყვარელიძე და კანდიდატად ა. მ. ჭიჭილაძე.

საქალაქო კონფერენციის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა გ. ლასკალმა, მოხსენების შემდეგ ერთმანდ იქმნა არჩეული ა. მ. კოლია გეგეშვიძე ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე სათათბირო ხმით დასასწრებად. კრება დასრულდა საღ. 5 ნახევარ საათზე.

საყვარელიძე.

დღეს, საღამოს 7 საათზე, პარტიის ცენტრალური კლუბში დანიშნულია მე-2-რე რაიკომის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია: 1. ტფილისის საქ. კონფერენცია.

2. დელეგატების არჩევნები.

3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა.

რაიკომის მდივანი.

დღეს, ივნისის 28-ს, 2 საათზე ტფილისის აღმასკომის ადგილკომის ოთახში შესდგება აღმასკომში მომუშავე მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა საერთო კრება. გასარჩევია საორგანიზაციო და საკონფერენციო საკითხები.

სავალდებულოა ამხანაგების გამოცხადება აღნიშნულ დროზე.

ფრაქციის მდივანი.

პარტიის ცენტრალური კლუბი ღიაა:

დღის 8—11 ს.

საღამოს 6—9 ს.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება აღნიშნულ დროში პასუხის მგებელ მდივანთან.

ნასიამოვნებები საზოგადოება ღამის 2 საათზე დაიშალა. თვით იუბილარი აღტაცებულ ახალგაზრდობამ ხელში აყვანილნ გამოიყვანა რუსთაველის პროსპექტზე.

ვ. ბ-ლი.

ქართულ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.

ახლო წარსულში პირველ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ზემოხსენებულმა საზოგადოებამ მოაწყო უკანასკნელად ამ სეზონში, ქართული მუსიკის საღამო-კონცერტი. უკანასკნელი იყო, ენაიდან ორკესტრის წევრები საზაფხულოთ გაემგზავრნ სხვა და სხვა ადგილას. მომავალ სეზონისათვის საზოგადოების გამგეობა ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას, საზოგადოების სამხატვრო კომისია უკვე შეუდგა მასალების დამუშავებას მომავალ სეზონისათვის. მომავალი სეზონის გახსნა განზრახულია კომპოზიტორ ნიკოლოზ სულხანიშვილის ნაწარმოებთა შესრულებით. ამ დროისათვის გამოვამყვანებთ მის ჯერ არ შესრულებულ სამუსიკო ნაწარმოებთ სიმფონიური კონცერტით. ეს იქნება პირველი ქართული სიმფონიური კონცერტი. ახალგაზრდებს მოუწოდებთ ჩაეწვიონ არსებულ საზოგადოებაში. ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც ენერგიულად არ მუშაობენ, ვთხოვთ შევიდნ კონსერვატორიაში, რათა მათ მომავალ სამუსიკო მოღვაწეობას უკან რჩეს კვალი განათლებული.

ი. ტუხია.

წერილები რედაქციის მიმართ

ა. მ. რედაქტორ! გიცხადებთ, რომ წერილი „ქართული ფუტურისტების დანაშაულები ტერენტევის მისამართით“. მოთავსებული გაზ. „ტრიბუნის“ № 501. მე სრულიად არ მეკუთვნის. საინტერესოა, რა დაქირდა ნამდვილ ავტორს ჩემი პიროვნების

შეურაცხელობა, რომ ასეთ უნიჭო წერილზე მოაწერა ჩემი სახელი და გვარი. საკმაოდ დამტკიცებულია სახელი. ქართ. ფუტურისტების წიგნში წამოაღიდაკლოს მოხალისე ნათლობამ.

მე პირადად უკანასკნელ სეზონში, ქართული თავადაზნაურობის არჩევნების სტილით კამათი, და თავის გამართლება უფასო განცხადებებით.

ნიკ. შენგელია.

შეცდომის გასწორება.

„ტრიბუნა“-ს № 506—„ფურცლები დღიურიდან“ არის: უნდა იყოს:

ის გარემოება ის გრძნობა.
იგი გადაიქცა ჩემი იგი გადაიქცა მონად ჩემი.
ჰქონოა გამოწვევისი ჰქონდა გამოწვევისი
გამომავლიდა ხოლმე გამომავლიდა ხოლმე
კოკეტური სკანდალი კოკეტური სკანდალი.
მოულოდნელად დაინახა მოულოდნელად დაინახა,

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი

„ბ რ ი ზ უ ნ ი ა“

კანტორისაგან

ივლისის 1-დან „ტრიბუნა“

ელარება:

თვეურად 1250,000 ზ.

ცალკე ნომერი 50,000 „

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს

გაყვანისებულება

აცხადებს ყველა სახლის მეპატრონეთა, სახლების მოურავებისა, კომენდანტებისა და სხვათა საყურადღებოთ, რომ 1923 წ. სახლების წიგნების შეძენის უკანასკნელ ვადათ

დანიშნულია

5 ივლისი

იმ პირებს, რომელნიც აღნიშნული რიცხვისთვის არ შეიძენენ ახლის წიგნებს, გადახდებთ ჯარიმა 15 ნახ. ჩერვონცადის, ან და დატუსაღებული იქნებიან აღმინისტრაციული წესით 2 თვემდის.

№ 378 2—2

ხელშეწყობა

ბესო მისურაძის 30 წ. იუბილე.

კვირას, 24 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართა სახალხო თეატრების მსახიობის ბესო მისურაძის 30-თი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საიუბილეო წარმოდგენა, რომელზედაც აუარებელი ხალხი და ახალგაზრდობა დაესწრო.

უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს პირველი დიდი იუბილეა, რომელიც გაუმართეს მუშა-სახალხო მსახიობს, რომელშიც თითქმის ყველა ტფილისში არსებულ მუშათა კულტურულ პროფესიონალურ ორგანიზაციებმა მიიღო მსურველი მონაწილეობა და გამოგზავნეს თავისი წარმომადგენელი საღამოზე დასასწრებად.

ამ საზეიმო საღამოს მეტად თბილი გულწრფელი ხასიათი ჰქონდა. თავისი შეინარსით: ყველა ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ეს ზეიმი არის მუშათა კულტურული ცნობიერების და გამარჯვების ზეიმი.

წარმოდგენის დაწყებამდე საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარემ თ. ნასიძემ, საზოგადოებას მოკლე სიტყვით გააცნა იუბილარი პიროვნება და მოღვაწეობა, რომლის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

წარმოდგენის „თამარ ბატონიშვილი“-ს მეორე მოქმედება, რომელშიც იუბილარი ასრულებდა ელიზბარ ერისთავის როლს. შემდეგ „ხანუმა“-ს მეორე მოქმედება, ვ. აბაშიძის მონაწილეობით. „ხანუმაში“ ბ. მისურაძე ასრულებდა „ხანუმას“ და საინტერესო იყო, როგორც ქალის როლის ასრულებელი. ვ. აბაშიძემ და მისურაძემ ბევრი აცინა საზოგადოება.

წარმოდგენის გათავისების გაიმართა საზეიმო მილოცვები. იუბილარი გამოიყვანეს საიუბილეო კომიტეტის წევრებმა. ხალხი მას მხურვალე ტაშით შეეგება. მუსიკამ დაუკრა „ინტერნაციონალი“. პირველად საიუბილეო კომიტეტის სახელით მიესალმა და დაწინა გვირგვინი მიაართვა თ. ნასიძემ. აგრეთვე მიაართვეს „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფასი გამოცემა გ. ქართველიშვილისა. შემდეგ მიესალმა საქართველოს ცენტრ. აღმას. კომიტეტის, და სახალ-

ხო განათლების კომისიისათვის სახელით ა. მ. ს. ქურიძე. და აგრეთვე განაცხადა, რომ იუბილარისთვის გადაღებულია 500.000.000 მილიონი მანეთი. კომპარტამ გადასდო 200.000.000 მილიონი. ქალაქის აღმასკომმა 100.000.000 მილიონი მანეთი. „ზარია ვოსტოკას“ სტამბის მუშებმა 45.000.000 მილიონი. ა. მ. ყურულაშვილმა მიულოცა პროფკავშირების სახელით და გადასცა, რომ გადაწყვეტილია იუბილარიისთვის გადაიღოს ფული. სრულიად საქართველოს ხელოვანთა მთავარ კომიტეტის სახელით მიულოცა ა. მ. გაჩეჩილაძემ. იყო წარმომადგენლები სომხურ გაზეთების რედაქციებიდან.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ არ დარჩილა არც ერთი მუშური ორგანიზაცია, რომ არ მიელოცოს იუბილარიისთვის.

მილოცვების დროს მღეროდა ორი გუნდი: ა. მისურაძისა და შ. ხატიაშვილის ბავშვთა გუნდი, რომელთაც შეასრულეს საგანგებო ნომრები.

იუბილარს მიაართვეს ბევრი ყვავილები. იყო წვრილი საჩუქრებიც, მოუვიდა აუარებელი მოლოცვის დეპეშები და წერილები.

დასასრულს იუბილარმა დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და აგრეთვე წარმოგზავნის დელეგატებს. მუსიკამ „ინტერნაციონალი“ შეასრულა და საერთო ტაშის გრაილში ფარდა ჩამოეშო.

განმეორებით აღვნიშნავ, რომ იუბილეს ჰქონდა მეტად გრანდიოზული და ამასთანავე მუშური ხასიათი და ამას ყველა გრძნობდა. ეს იყო ქეშმარიტად მუშათა დღესასწაული, რომელითაც მუშებმა ღვაწლი დაუფასეს თავისივე ამხანაგს მუშას, რომელიც 30 წლის განმავლობაში მათი კულტურული აწილება გათვითცნობიერებისთვის იღვწოდა მეტად აუტანელს პირობებში ცარხვის დროს. ამით მათ დაამტკიცეს თავიანთი კულტურული შეგნება და მომზადება.

ანტრაქტების დროს 1-ლ სახელმწიფო ქარხნის მუშათაგან შემდგარი სამუსიკო ორკესტრი უკრავდა, რომელთაც ბევრი კარგი ნომერი დაუკრეს.